

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 39

ქ.თბილისი

2016 წლის 12 სექტემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 12 სექტემბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშუაგბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა მატჩის მეთვალყურის ტ. მარგველაშვილის ოქმი და მოხსენებითი ბარათი.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

ამა წლის 10 სექტემბერს გაიმართა რეგიონალური ლიგის მატჩი ქობულეთის „პონტო“-სა და ოზურგეთის „არწივებს“ შორის. მატჩის მეთვალყურის ტ. მარგველაშვილის მოხსენებითი ბარათის და მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, თამაშის მსვლელობისას მომხდარ გუნდურ ჩხუბში გამოიკვეთა შემდეგი დისციპლინარული დარღვევები

ქობულეთის „პონტო“

1. უჩა სურმანიძე - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.

ოზურგეთის „არწივები“

1. ბექა ხელაძე - კონფლიქტის პროვოცირება(წამოწყება).

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 1.8, 2.2.7, 2.2.8, 3.2, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი N 1-ის 2.8 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ ქობულეთის „პონტო“-ს მორაგბე უ. სურმანიძე დისკვალიფიცირებული იქნას 4 (ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200 (ორასი) ლარით.
2. კლუბ ოზურგეთის „არწივების“-ს მორაგბე ბ. ხელაძე დისკვალიფიცირებული იქნას 3 (სამი) სათამაშო კვირით.
3. სადისციპლინო კომისიის მიერ შეფარდებული სადისციპლინო სანქციის ვადაში ჩაითვლება მატჩის მთავარი მსაჯის ი. მჟავანაძის მიერ მორაგბეების უ. სურმანიძის და ბ. ხელაძის მიმართ გამოყენებული წითელი ბარათით გათვალისწინებული დაყოვნების ვადა.
4. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.8 პუნქტი და კლუბ ქობულეთის „პონტო“-ს და დააკლდება 2 (ორი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/